ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N1

01თებერვალი

2023 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის

დაცვისა და სოციალურ საკითხთა გაერთიანებული კომისიათა

სარეგისტრაციო სია

ქ. სამტრედია 01 თებერვალი, 2023 წელი.

1. მერაბ ულრელიძე(კომისიის თავმჯდომარე)-
2. გოჩა არველაძე-
3. ჯონი ახობაძე -
4. ტარიელ ცომაია -
5. დავით ჯანელიძე -
6. ირაკლი მელაშვილი -
7. ზექა თევზაძე-
8. ემზარ შუბლაძე -
9. აკაკი მინაშვილი -
10. ქეთევან კუტალაძე -
11. გივი ჯულაყიძე -
12. ვაჟა სტურუა -
13. გიორგი ლეჟავა (კომისიის თავმჯდომარე)-
14. ტარიელ დვალიშვილი -
15. ლიზა კრავეიშვილი -
16. ილია მჟავია -
17. კობა ძიძიგური -
18. ლაშა გრიგოლია -
19. ნათია პაპავა -
20. ლელა ჩორგოლაშვილი -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. სამტრედია 01 თებერვალი,

2023 წელი.

მიმდინარე წლის 01 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, ბექა თევზაძე, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია, კობა ძიძიგური, ლაშა გრიგოლია, ლელა ჩორგოლაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს ხელმძღვანელი კობა ბიბილეიშვილი.

2. ა.(ა)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს ხელმძღვანელი ტატიანა გოგუაძე.

3. ა.(ა)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბუღალტერი თემურ გეგუჩაძე.

4.მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

8. მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

ლევან ახობაძე.

9. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი მედეა ლეჟავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.6322355001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

3.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის" 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.6322355518 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

4.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235515 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

5.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ",2022 წლის 21 წლის დეკემბრის Nგ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

6.შ.პ.ს.,,სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

7.სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და და რეკომენტაციის შემუშავების შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრთა 17(ჩვიდმეტი) ხმით დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223030142 30/01/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ააიპ „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63 .6322355001 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის ბიუჯეტში შიდა მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ სახელფასო დანამატის მუხლის შემცირებას 6,71 ათ.ლარით; ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯის 10,00 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელი და მომსახურეობის ხარჯის 1,65 ათ.ლარით, სულ 18,36 ათ.ლარით, შესაბამისად თანამდებობრივი სარგოს მუხლის გაზრდას 6,71 ათ.ლარით; ოფისის ხარჯის მუხლის 1,65 ათ.ლარით; მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლის 10.00 ათ.ლარით, სულ 18,36 ათ.ლარით.

აზრი გამოთქვა: ჯონი ახობაძემ.

ჯონი ახობაძე- მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო კომუნალური გაერთიანების ხელმძღვანელს და მუშა-მოსამსახურეებს სტიქიის დროს გაწეული თავდაუზოგავი შრომისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223027101 27/01/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63,632235510 განკარგულებით დამტკიცებული 2023 წლის ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევ ხარჯების გეგმაში შიდა მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ: შრომის ანაზღაურების შემცირებას 1,7 ათ. ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურების გაზრდას 1,7 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ისრგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223027100 27/01/2023 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის 2022 წლის 21 დეკემბრის #გ-63.632235518 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევ ხარჯების გეგმაში შიდა მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ: არაფინანსური აქტივების ზრდის შემცირებას 19,0 ათ. ლარით, შესაბამისად საქონელი და მომსახურეობის გაზრდას 19,0 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე

განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 62-6223027103 27/01/2023 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება .ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-632235515 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის შემოსავლების გეგმის გაზრდას 0.7 ათ. ლარით, შესაბამისად .ხარჯების ნაწილში საქონელი და მომსახურების გაზრდას 0.7 ათ. ლარით (2022წლის დეკემბრის ხარჯები: ელექტროენერგიის 0.4 ათ. ლარი, საწვავის 0.3 ათ. ლარი).

აზრი გამოთქვა: ჯონი ახობაძემ.

ჯონი ახობაძე- როგორც ვიცი თქვენი სამსახურისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო თანხა მანქანის შემენისთვის. მაინტერესებს აღნიშნულთან დაკავშირებით რა ხდება.

თემურ გეგუჩაძე- ამისათვის საჭიროა ტენდერის გამოცხადება. ვფიქრობთ იქნებ რაიმე სხვა გზა გამოინახოს.

ჯონი ახობაძე- ძალიან გთხოვთ დროულად მოხდეს ზემოაღნიშნულის მოწესრიგება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 62-622302695 26/01/2023წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესი"(დანართი №1) და ,,2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები"(დანართი №2) შესატან ცვლილებებს , მუნიციპალიტეტის 1. სოციალური ბიუჯეტი გაიზარდოს - 700 -ლარით; კერძოდ გაიზარდოს: მუხლი 20. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. (სუბსიდიის სახით) 700 --- ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა 7 (შვიდი) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223027102 27/01/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ,,შ.პ.ს სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს 2022 წლის 21 დეკემბრის #გ-63.632235524 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმაში ცვლილებას, კერძოდ: აღნიშნავს რომ 2019 წლის 05 თებერვალს გაფორმებული #5 ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ,,სამუშაოს ხარისხის" დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%, რომელიც შეადგენს 5,0 ათ. ლარს, რომლის დაბრუნებაც არ მოხდა, ვინაიდან შემსრულებელმა საგარანტიო ვადის ამოწურვამდე ვერ მოახდინა შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაკავებული თანხა დარჩა შემსყიდველ ორგანიზაციას, ამ შემთხვევაში შპს ,,სპორტული კომპლექსი სამტრედიას". აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს ბიუჯეტის მოწესრიგებას.

აზრი გამოთქვა:გივი ჯულაყიძემ და ნონა ქორიძემ.

გივი ჯულაყიძე- ზუსტად რომ განმარტოთ რა თანხაზეა საუბარი?

ნონა ქორიძე- 2019 წელს სტადიონზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. გაფორმებული #5 ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ,,სამუშაოს ხარისხის" დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%, რომელიც შეადგენს 5,0 ათ. ლარს, რომლის დაბრუნებაც არ მოხდა, ვინაიდან შემსრულებელმა საგარანტიო ვადის ამოწურვამდე ვერ მოახდინა შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება, აღნიშნული თანხა დარჩა ორგანიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვითხოვთ ბიუჯეტის მოწესრიგებას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და და რეკომენტაციის შემუშავების შესახებ.

აზრი გამოთქვა: მედეა ლეჟავამ.

მედეა ლეჟავამ - განმარტა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის და" საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 70-ე მუხლის შესაბამისად, 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, თანხით 18757,8 ათასი ლარის ოდენობით.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 17098,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 15356,1 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები -1742,5 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 0 ათასი ლარი.

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ათჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 37124,4 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 18366,6 ათასი ლარით.

- საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -17175,0 ათასი ლარით.
- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 2775,6 ათასი ლარით
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 564,4 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 12588,9 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 210,0 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 5744,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 4567,5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგირთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წლის განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შსახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 517,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -450,0 ათასი ლარი.

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (შემდგომში UNDP) პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის მუნიციპალიტეტს გამოეყო 90,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით" საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -660,0ათასი ლარი.

ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 4047,4 ათ.ლარი .

შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის შემოსავალმა შეადგინა 34175,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 103,2 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 17480,6 ათასი ლარი, რაც დეკემბრის თვის გეგმის 101,8 %-ია,მათ შორის: დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 14302,1 ათასი ლარი გეგმა შესრულდა- 100.3 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1235,8 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 106,7%-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1942,7 ათ.ლარი გეგმა შესრულდა -103,5 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა -350,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა 446,5 ათასი ლარი, ხოლო საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით 482,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 5749,3 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩამორიცხულია - 182,7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოირიცხა -4562,5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის N627 განკარგულებით" საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 660,0 ათასი ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტი 81,3 ათასი ლარი.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფრის ოდენობამ შეადგინა - 12514,7 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან თორმეტ თვეში მიღებულია 2941,8 ათასი ლარი, გეგმა 2775,6 ათასი ლარი, შესრულება (106,0%) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 161,3 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი -1060,0 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 480,0 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 198,0 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 676,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 26,0 ათ.ლარი, ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 182,5 ათ.ლარი და სხვა შემოსავლები - 157,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 1238,5 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 113,3 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან - 1125,2 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 219,4%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2022 წლის დეკემბრის თვის შემოსულობების შესრულების შედარებას 2021 წლის ანალოგიურ პერიოდის ფაქტთან (22912,3 ათასი ლარი), შემოსულია 11263,3 ათასი ლარით მეტი.ზრდის ტემპი არის 149,2 %-ი

შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი სახეობების მიხედვით შემდეგია:

2022 ნლის წლიური შემოსულობები ათას ლარებში:

N	დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
1	შემოსავლები სულ	33103,9	34175,6	103,2
2	საგადასახადო შემოსავლები	17175,0	17480,6	101,8
3	გრანტები	12588,9	12514,7	99,4
4	სპეციალური ტრანსფერი			
5	სხვა შემოსავლები	2775,6	2941,8	106,0
6	არაფინანსური აქტივები	564.0	1238,8	219,4

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის
ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 32095,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,5%-ია (თორმეტი თვის გეგმა -37124,4ათასი ლარი)

ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):

№	დასახელება	გეგმა წლიური	ფაქტი წლიური	%
			-	
1	ხარჯები	19236,5	18086,3	94,1
2	შრომის ანაზღაურება	3061,3	2959,8	96,7
3	საქონელი და მომსახურება	3112,1	2742,3	88,1
4	სუბსიდია	8875,6	8737,0	98,4
5	სოციალური უზრუნველყოფა	1740,6	1722,7	99,0
6	სხვა ხარჯი	1816,3	1347,9	74,2
7	გრანტი	595,4	541,9	91,0
8	პროცენტი	35,2	34,7	98,6
9	არაფინანსური აქტივი	17817,8	13939,1	78,3
10	ვალდებულებების კლება	70,1	70,1	100,0
	სულ ჯამი	37124,4	32095,5	86,5

ბაბტრეველის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს**

   - 4203,6 ათას ლარს.

1.2 მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების

ხელშეწყობის ხარჯი - 151,0 ათასი ლარი.

2. **ეკონომიკის განვითარება - 9345,6 ათასი ლარი. მათ შორის:**

2. 1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება - 8570,9 ათასი ლარი.

2.2. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 6,8 ათასი ლარი.

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 766,8 ათასი ლარი.

2.4.სოფლის მეურნეობის განვითარება - 1,1 ათასი ლარი.

3 . **დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ - 2222,1 ათასი ლარი. მათ შორის:**

3.1. დასუფთავება - 124,5 ათასი ლარი.

3. 2.. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვწნებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 487,5 ათასი ლარი.

3.3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 1610,1 ათასი ლარი.

4. **საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ - 4520,8 ათასი ლარი. მათ შორის:**

4.1 ბინათმშენებლობა - 1021,9 ათასი ლარი.

4.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 71,9 ათასი ლარი.

4.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 779,0 ათასი ლარი.

4.4. სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 2513,2 ათასი ლარი.

4.5. ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 134,8 ათასი ლარი.

5 . **განათლების დარგით გახარჯულია სულ- 4982,3 ათასი ლარი, აქედან:**

5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირებაზე - 3000,4 ათასი ლარი.

5.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტირება) – 571,9 ათასი ლარი.

5.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 1159,1 ათასი ლარი.

5.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -250,9

ათასი ლარი.

6. **კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 4467,1 ათასი ლარი,აქედან**

6.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა რეკონსტრუქცია - 1012,4 ათასი ლარი.

6.2. სპორტული სკოლები - 1575,2 ათასი ლარი.

6.3. კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1156,6 ათასი ლარი

6.4 ახალგაზრდული ორგანიზაციების,კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 327,2 ათასი ლარი

6.5. საინფორმაციო მომსახურება - 130,7 ათასი ლარი

6.6. ხონი სამტრედიის ეპარქია - 265,0 ათასი ლარი.

7. **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ - 2354,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

7.1. ჯანდაცვის პროგრამები - 127,5 ათასი ლარი.

7.2 სოციალური პროგრამები - 2226,5 ათასი ლარი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

მერაბ უღრელიძე- მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მედეა ლეჟავას ასე ამომწურავი პასუხებისთვის.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ლის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბრი გამოთქვა: მედეა ლეჟავამ.

შედეგ ლეკავა- გაიზარდოს შემოსავლების გეგმა - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ევროკავშირის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 68.9 ათ. ლარით;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 660,0 ათ. ლარი და შესაბამისად გაიზარდოს 02 04 **კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** საქონელი და მომსახურების გეგმა.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იავრის N116 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოეყო - 1 400,0 ათ. ლარი, შესაბამისად გაიზარდოს **02 02 01 კოდი** ბინათმშენებლობის ხელშეწყობა კაპიტალური ხარჯი - 1,313.5 ათ. ლარით; **04 04 კოდი** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 10,0 ათ. ლარით; **01 01 02 კოდი სამტრედიის ტერიის** არაფინანსური აქტივების გეგმა -76,5 ათ. ლარით.

ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოეყო 67.2 ათ. ლარი და შესაბამისად გაიზარდოს **04 02 კოდი ზოგადი განათლების ხელშეწყობის** საქონელი და მომსახურების გეგმა 67.2 ათ. ლარით.

2022 წლის 1 იანვრისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხება ნაშთი 6 129.3 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

- მთავრობით - 2,083.1 ათ. ლარი;
- ადგილობრივით - 4,046.2 ათ. ლარი.

აღნიშნულიდან განაწილებულია:

2019 **წლის კრედიტორი მთავრობით სულ - 55.1 ათ. ლარი, კერძოდ:**

- 02 04 **კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** საქონელი და მომსახურეობის გეგმა - 35.0 (მ/შ 34.3 ათ. ლარი თავისუფალი 22.01.2019წ N45 განკარგულება), ხოლო არაფინანსური აქტივების გეგმა - 3.5 ათ. ლარი.
- 02 01 **კოდი** გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების

- დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 13.4 ათ. ლარი. (01.08.2018 წლის N1468 განკარგულება სტიქია)

- 04 02 კოდი ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 3.1 ათ. ლარი. (18.01.2019 განკარგულება N13).

- 04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 0.1 ათ. ლარი ((2019წ N 2577 განკარგულება).

2020 წლის კრედიტორი სულ = 73.7 ათ.ლარი მათ შორის მთავრობით - 73.3 ათ. ლარი და ადგილობრივით - 0.4 ათ. ლარი, კერძოდ:

მთავრობით -73.3 ათ. ლარი:

- 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 6.3 ათ. ლარი (02.07. 2020 წლის N1123 განკარგულება - ახალსოფლის ბორანი).

- 02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 6.5 ათ. ლარი (19.08. 2020 წლის N1573 განკარგულება).

- 02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების საქონელი და მომსახურეობის გეგმა - 35.3 ათ. ლარი (31.12.2019 N2752 განკარგულება) არაფინანსური აქტივების გეგმა - 8.6 ათ. ლარი.

- 04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 0.4 ათ. ლარი (18.12.2019.N2630 განკარგულება).

- 04 02 კოდი ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 16.2 ათ. ლარი (სსიპ N8 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობის მიმდინარე ხარჯი - 1.1 ათ. ლარი; ჭოგნარი-ნოღა-ნიგორზღვის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის - 1.7 ათ. ლარი და სკოლების - 13.4 09.01.2020წ N27 განკარგულება).

ადგილობრივით - 0.4 ათ. ლარი, კერძოდ:

- 04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 0.4 ათ. ლარი.

2021 წლის კრედიტორული სულ = 152.7 ათ. ლარი, მათ შორის მთავრობით - 42.9 ათ. ლარი და ადგილობრივით 109.8 ათ. ლარი.

მთავრობით - 42.9 ათ. ლარი, კერძოდ:

- 02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების გეგმა - 20.6 ათ. ლარი (მათ შორის თავისუფალი- 18.5 ათ. ლარი 05.02.2021 N 168 განკარგულება).

- 04 02 კოდი ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 22.3 ათ. ლარი (04.02.2020.N147 განკარგულება - გომის საშუალო სკოლა).

ადგილობრივით - 109.8 ათ. ლარი, კერძოდ:

- 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 93.3 ათ. ლარი (N 2685 განკარგულება).

- 02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 2.8 ათ. ლარი.

- 02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების საქონელი და მომსახურების გეგმა - 0.8 ათ. ლარი.

- 02 02 02 კოდი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 5.5 ათ. ლარი.

- 04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 2.1 ათ. ლარი.

- 05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 5.0 ათ. ლარი.

- 01 01 02 კოდი სამტრედიის მერია - 0.3 ათ. ლარი

2022 წლის კრედიტორული სულ = 3,193.0 ათ.ლარი მ/შ მთავრობით - 1,911.8 (მ/შ დელეგირებული -0,5) ათ. ლარი და ადგილობრივით - 1,281.2 ათ. ლარი, კერძოდ:

მთავრობით - 1 911.8 ათ. ლარი:

- 02 01 **კოდი** გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 141.7 ათ. ლარი (განკარგულება N2178 ჯიხაიშის -გზა-113,5 ათ. ლარი და განკარგულება N75 – 3.7 ათ. ლარი საპილოტე -24,5 ათ. ლარი).

- 02 02 01 **კოდი** ბინათმშენებლობის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი - 358.7 ათ. ლარი (საპილოტე პროგრამით).

- 02 03 03 **კოდი** სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 718.4 ათ. ლარი (საპოლოტე).

- 02 04 **კოდი** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების საქონელი და მომსახურების გეგმა - 44.9 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივები - 7.0 ათ. ლარი (**სულ ს.მ.პ. N277 განკარგულება**).

- 04 02 **კოდი** ზოგადი განათლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 437.1 ათ. ლარი. ნაბაკევის და N2 საჯარო საშუალო სკოლა N51 განკარგილება)

- 04 04 **კოდი** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 203.5 ათ. ლარი (საპილოტე).

- 01 01 03 **კოდი** ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის არაფინანსური აქტივის გეგმა - 0.5 ათ. ლარი (დელეგირებული).

ადგილობრივით - 1,281.2 ათ. ლარი, კერძოდ:

- 02 01 **კოდი** გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 537.6 ათ. ლარი.

- **02 02 01** კოდი ბინათმშენებლობის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯი - 19.2 ათ. ლარი.

- **02 03 03 კოდი** სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 32.8 ათ. ლარი.

- **02 03 05 კოდი** ამბულატორიის მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 3.3 ათ. ლარი.

- **02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივები - 3.3 ათ. ლარი.

- **03 03 კოდი დასუფთავების** - არაფინანსური აქტივების გეგმა - 12.0 ათ. ლარი (5ც. ლითონის 1100-ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერი).

- **04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 464.8 ათ. ლარი.

- **05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 206,2 ათ. ლარი.

- **06 01 01 კოდი ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს -0,7 ათ. ლარი.

- **01 01 03 კოდი** ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 0,8 ათ. ლარით.

- **06 02 04 კოდი** **სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** სუბსიდიის გეგმა - 0.7 ათ. ლარით;

გარდამავალი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოები ადგილობრივით - 1,872.0 ათ. ლარი, კერძოდ:

- **02 01 კოდი** გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა- **786.8** ათ. ლარი. (სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჯიხაიშში N23 და N40 ქუჩებზე ასფალტო-ბეტონის საფარი -477.6 ათ.ლარი; ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N242-ში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ წყაროსთან მისასვლელ გზაზე და ე.წ. ხ.დ.კ-ს დასახლებაში კოსტავას ქუჩაზე ავტოპარკინგის მოწყობა - 45.0 ათ.ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოფეთში მდინარე ხევისწყალასთან მდებარე საავტომობილო გზის გამაგრების, სოფელ პატარა ოფეთში დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო და სოფელ ზემო ნოღაში ე.წ. ეცადეიშვილების უბანში შიდა გზის დაზიანებული ნაწილის აღდგენის სამუშაოები - 80.0 ათ.ლარი.) 2022- 2023 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე სახედამხედველო მომსახურების სამუშაოების შესყიდვა -184,2 ათ. ლარი და **საქონელი და მომსახურება -165,9 ათ. ლარი** (ქ. სამტრედიაში, გრიბოედოვის ქუჩაზე (ყოფილი სამრეწველო ზონის ტერიტორია) მოშანდაკებითი და შეზვინვითი სამუშაოებისა და წყალსაწრეტი არხების მოწყობი - 155,7 ათ.ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გორმაღალში ე.წ. ,,დევაძეების უბანში" საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაგების და სოფელ გორმაღალში ხიდ-ბოგირი -10.2 ათ.ლარი);

- **02 02 01 კოდი** ბინათმშენებლობის სხვადასხავა კაპიტალური ხარჯი - **528,5 ათ.ლარი**

(ქალაქ სამტრედიაში ლაშა თევზაძის ქუჩაზე N2 და N4 ბინების ფასადის და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 524.4 ათ.ლარი; ქ. სამტრედიაში, რუსთაველის ქ. N27-ში მდებარე ბინის სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები - 4,1ათ.ლარი.

- **05 01 01 კოდი** სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა -**390,8 ათ.ლარი**

(სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოხუმის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო სტადიონის

სარეაბილიტაციო სამუშაოები - 158,5 ათ.ლარი; ქ. სამტრედიაში, რუსთაველის ქ. N95-ში არსებული საკერავი ატელიე მიდროსანიზოლაციო და წყლის დამუშავების ტექნოლოგიური ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები -150,2 ათ. ლარი; სამტრედიის ერ. მანჯგალაძის სახ. სტადიონზე არსებული ასორტული დარბაზის იატაკის სარეაბილიტაციო (დარჩენილი) და ინვენტარის აღდგენის სამუშაოები - 81,1

-

გაიზარდოს:

- 01 01 01 კოდი სამტრედიის საკრებულოს საქონელი და მოსახურების გეგმა გაიზარდოს 12,0 ათ. ლარით.

- 01 01 02 კოდი სამტრედიის მერის საქონელი და მომსახურების გეგმა გაიზარდოს -48.0 ათ. ლარით.

- 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა - 20.0 ათ. ლარი (ექსპერტიზის ღირებულება) არაფინანსური აქტივების გეგმა -390.0 ათ. ლარი (100.0 ათ. ლარი - საპროექტო 100,0 ათ. ლარი - ვიდეო აპარატურის დამონტაჟება და მონიტონირგის მომსახურეობის - 190,0 ათ. ლარი).

- 04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბავშვ-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 50,0 ათ. ლარი.

კვლავ მიმდინარეობს წინა წლის დოკუმენტების წარდმოდგენა დარგების მხრიდან, რომლის საფუძველზეც დაზუსტდება კრედიტორული დავალიანებები.

მუხლობრივი ცვლილებები:

- 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების

დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 77.3 ათ. ლარით და გაიზარდოს ამავე კოდის გრანტების გეგმა 50.0 ლარით და საქონელი და მომსახურეობის გეგმა - 27,3 ათ. ლარით.

- **01 01 02 კოდი** სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 75.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საქონელი და მომსახურების გეგმა.

- **01 01 03 კოდი** ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის შრომის ანაზრაურება შემცირდეს - 4,6 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის გეგმა.

- **05 02 02 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 19.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სუბსიდიის გეგმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მერაბ უღრელიძე - მინდა წარმოგიდგინოთ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ. რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვიხილოთ. ასევე შეგვიძლია ცვლილების შეტანაც სამუშაო გეგმაში.

(დანართი ოქმს თან ერთვის 2 ფურცლად).

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო-სამეურნეო საკითხთა

კომისიის სხდომის თავმჯდომარე: */მერაბ ულრელიძე/*

სხდომის მდივანი: */ლია ყურულაშვილი/*